



# 2005 წლიდან ყველა აბიტურიენტი აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

## პირველი აბიტურიენტი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასა და ჩატარებას, გადავხვებით თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას 2006 წლის გამოცდების შესახებ.

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად წელს აუცილებელია სამი სავალდებულო გამოცდის ჩაბარება, ესენია:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ზოგადი უნარები;
- ერთ-ერთი უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული).

- არჩევითი გამოცდებია:
  - ლიტერატურა;
  - საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები;
  - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
  - მათემატიკა.

ფაკულტეტების ნაწილმა, გარდა სამი სავალდებულო გამოცდისა, მიუთითა ერთი ან ორი არჩევითი გამოცდა. ამ გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა მხოლოდ იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც სურთ სწავლა გააგრძელონ შესაბამის ფაკულტეტებზე.

თუ ფაკულტეტმა ორი არჩევითი გამოცდა დაასახელა, მაშინ აბიტურიენტმა თავად უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ ფაკულტეტი მისაღები კონტინგენტის ფარგლებში აწესებს კვლევებს თითოეული არჩევითი საგნისათვის. მაგალითად: ფაკულტეტმა მიუთითა ორი არჩევითი გამოცდა – მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. იქვე იქნება მინიშნება, თუ მინიმუმ რამდენ აბიტურიენტს მიიღებს ეს ფაკულტეტი იმ კონტინგენტიდან, ვინც მათემატიკა ჩააბარა და რამდენს – ვინც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები აირჩია.

სამი სავალდებულო გამოცდის ჩაბარება აუცილებელია სახელოვნებო და სპორტული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებშიც სპეციალური შემოქმედებით/სპორტული ტურების გავლის შემდეგ.

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ კონკურსში:

- სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად, გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ზოგად უნარებში მიღებული ქულები, იმ პირობით თუ თქვენ გადალახავთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (მინიმუმ 15 ქულა) თქვენს მიერ მითითებულ ყველა გამოცდაში.
- თქვენს მიერ არჩეულ კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად, უნდა გადალახოთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ამ ფაკულტეტი-სათვის აუცილებელ გამოცდებში.

- 2006 წლიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით.

- უფლება გაქვთ მათემატიკის, ზოგადი უნარების, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდა ჩააბაროთ როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე;

- 2006 წელს შეგიძლიათ განაცხადოთ გააკეთოთ ერთი და იმავე ან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 7 ფაკულტეტზე;

- არჩევითი ჩასაბარებელი გამოცდების რაოდენობა შეზღუდული არ არის;

- სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგების საფუძველზე;

- აბიტურიენტებს შეუძლიათ გამოიყენონ 2005 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულები, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული ქულისა;

გახსოვდეთ, რომ თქვენ მონაწილეობთ ორ კონკურსში:

- კონკრეტულ ფაკულტეტებზე ჩარიცხვა;
- სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება.

## გისურვებთ წარმატებას!

### რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობა

2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მნიშვნელოვან მარტივებას რეგისტრაციის პროცესი. აბიტურიენტები სკოლაში მიიღებენ განცხადების ფორმას, რომლის მეორე გვერდზე მოცემული იქნება აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები, რომელსაც იგი უნდა გაეცნოს და ეს ფაქტი ხელმოწერით დაადასტუროს.

### აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები

- აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე, წარმოდგენილი განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება;
- რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე;
- აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. (მათთვის, ვისაც არ შესრულებია 16 წელი სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით)
- გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა გამაგრებული სასმელის (პლასტიკის ბოთლით), პირადი ჰიგიენისა და ჯამრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, აკრძალულია;
- აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში მას გააფრთხილებენ, დარღვევის განმეორების შემთხვევაში კი დაატოვებინებენ გამოცდას.

თუ აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურის დადგენილი წესები, შეუძლია გამოცდებს შორის პერიოდში შეიტანოს განცხადება სააპელაციო საბჭოს სახელზე საგამოცდო პერიოდში საგამოცდო ცენტრთან გახსნილ სპეციალურ პუნქტში.

უმაღლესი სასწავლებლებში შემსვლელი სკოლაშივე მიიღებენ ინფორმაციას რეგისტრაციისა და საგამოცდო პროცესის შესახებ.

სკოლა-დამთავრებულები რეგისტრაციის გავლას შეძლებენ:

რეგისტრაციაში – განათლების რაიონულ განყოფილებებში; თბილისში – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრში.

2006 წლის რეგისტრაციის პროცესი საშუალებას აძლევს იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ავადმყოფობენ, შინ ან საავადმყოფოში შეავსონ განცხადება და გაიარონ რეგისტრაცია მითითებულ ვადებში.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 15 მარტი.

### იმისათვის, რომ აბიტურიენტმა გააკეთოს სწორი არჩევანი უნდა გაითვალისწინოს:

- მის მიერ ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალი;
- ფაკულტეტის მიერ ყოველი გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი;\*;
- საგანთა პრიორიტეტი;\*\*;
- ფაკულტეტზე არსებული ადგილების რაოდენობა;\*\*\*;
- ფაკულტეტებზე სწავლების საფასური;
- ორი არჩევითი გამოცდის მითითების შემთხვევაში ამ გამოცდებისათვის დწესებული კვლევები.

განცხადებაში აბიტურიენტმა უნდა მიუთითოს:

- საკუთარი რეკვიზიტები;
- ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი;\*\*\*\*;
- შერჩეული ფაკულტეტების ჩამონათვალი კოდის მითითებით სასურველი არჩევანის რიგითობის მიხედვით (პირველ ნომრად უნდა მითითოს ყველაზე სასურველი ფაკულტეტი, შემდეგ მომდევნო და ა.შ.);
- ქალაქი, სადაც სურს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება;
- რაიმე ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში (მოტორული, სმენითი, მხედველობითი) განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ცნობა;
- იმ აბიტურიენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში, შეუძლიათ მიუთითონ თუ რომელი საგნის (ან საგნების) ქულის შენახვა სურთ 2006 წლისათვის. ამასთან, სპეციალურ გრაფაში უნდა ჩაწერონ საგამოცდო – საიდენტიფიკაციო ნომერი.

საგამოცდო ცენტრები გაიხსნება შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი (2 ცენტრი), ახალციხე, გორი, თბილისი (3 ცენტრი), რუსთავი, თელავი, სიღნაღი.

### აბიტურიენტმა განცხადების შევსების დროს შეცდომის დაშვებისას არ უნდა გადაასწოროს განცხადებაში გაკეთებული ჩანაწერი – ასეთ შემთხვევაში უნდა შეივსოს ახალი განცხადება!

მას შემდეგ, რაც აბიტურიენტი ჩააბარებს შევსებულ განცხადებას და სხვა საჭირო საბუთებს, განცხადებაში მითითებული ფაკულტეტები და მათი რიგითობა აღარ შეიცვლება!

### განცხადებას უნდა დაერთოს:

- ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
- სალაროს ქვითარი გამოცდების საფასურის გადახდის შესახებ – გადასახადის ოდენობა განისაზღვრება ჩასაბარებელი გამოცდების რაოდენობის მიხედვით – თითოეული გამოცდის ჩაბარების ღირებულებაა 10 ლარი. თანხის გადახდა ხდება შემდეგ ანგარიშზე: ბანკის კოდი – 220101956 ბაზისბანკი, ანგარიშის ნომერი – 133531. გადახდისას აუცილებლად უნდა წარადგინოთ პირადობის მოწმობა. საბანკო ქვითარზე უნდა დაფიქსირდეს აბიტურიენტის სახელი და გვარი და გადახდელის რეკვიზიტები;
- პასპორტის ან მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი. აბიტურიენტმა, ვისაც არ უსრულდება 16 წელი 10 მარტამდე, უნდა წარმოადგინოს სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით;
- საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი და მისი ასლი. იმ შემთხვევაში კი, თუ აბიტურიენტი დამამთავრებელ კლასში სწავლობს – სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ამონაწერი სასკოლო ბრძანებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ (თუ დოკუმენტი უცხოურ ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

• აბიტურიენტების მიერ შევსებული განცხადებები იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც ცენტრალიზებულად მოხდება მთელი საქართველოდან მიღებული მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ბაზის შექმნა;

• საგამოცდო ბარათების პირველადი ვერსიები იგზავნება სკოლებში – აბიტურიენტებმა უნდა გადაამოწ-

\* უმაღლესი სასწავლებლებში კონკრეტული ფაკულტეტებისათვის განსაზღვრულ მათთვის შეტანულ თუ ნაკლებად პრიორიტეტული საგამოცდო საგნები. ისინი ამას გვ. კოეფიციენტების საშუალებით ავლენენ (იხ. ჩარიცხვა). საკონკურსო ქულების დათვლა სწორედ კოეფიციენტების მიხედვით მოხდება.

\*\* საგანთა პრიორიტეტის გათვალისწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აბიტურიენტი დააბარებს ერთნაირ საკონკურსო ქულის ფაკულტეტისათვის გამოყოფილი ადგილების მიჯნაზე. მაგალითად: ფაკულტეტს აქვს 20 ადგილი, ცხადია, უნდა ჩაირიცხოს საუკეთესო შედეგის მქონე 20 აბიტურიენტი, მაგრამ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა ორი ზუსტად ერთნაირი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება პრიორიტეტულად დასაბუთებულ საგანთა რიგში.

\*\*\* აბიტურიენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციით განსაზღვრული აბიტურიენტების რაოდენობის შეცვლა შემდეგი მიზეზების გამო: თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გამოიყოფს ადგილებს უცხოელი აბიტურიენტებისათვის (არაუმეტეს აკრედიტაციით განსაზღვრულ ადგილების 10%-ისა), თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ათთვისებს ვაკანსიებს 2005 წლისათვის განსაზღვრული მისაღები კონტინენტის ფარგლებში, თუ აკრედიტაციის პირობების გადამოწმების შედეგად შეიცვალა მისაღები კონტინენტის რაოდენობა, ნებისმიერ ამ და სხვა ცვლილებების შესახებ აბიტურიენტებს ეცნობებათ გახსნის სპეციალური გამოცემით 2006 წლის თებერვალში.

\*\*\*\* თუ აბიტურიენტი აბარებს 2005 წელს მიღებული საგამოცდო ქულის(ქულების) გამოყენებას, მან შესაბამის გრაფაში უნდა მითითოს ამის შესახებ. 2005 წლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით გამოცდების ჩაბარებისას აბიტურიენტი კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ 2006 წელს მიღებული ქულებით.

მონ და შემდგომ ხელმოწერით დაადასტურონ ბარათში აღნიშნული და მათ მიერ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის იდენტურობა;

• საგამოცდო ბარათების ნიმუშები ბრუნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდგომ ხდება საგამოცდო ბარათების საბოლოო ვერსიების ამობეჭდვა;

• საგამოცდო ბარათებს აბიტურიენტები უშუალოდ სკოლებში მიიღებენ სასწავლო წლის დასასრულამდე. სკოლადამთავრებული აბიტურიენტები კი რეგისტრაციის გავლის ადგილებზე.

ის აბიტურიენტები, რომელთაც 2005 წელს მონაწილეობა მიიღეს ერთიან ეროვნულ გამოცდებში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თავისუფლდებიან ამ გამოცდის გადასახადისაგან.

ბარათზე მითითებული იქნება საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი, გამოცდისა და რეგისტრაციის დაწყების დრო.

საგამოცდო ბარათი იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

ისინი, ვინც არ იმყოფებიან საქართველოში რეგისტრაციის პერიოდში, 15-დან 30 ივნისამდე რეგისტრაციას გაივლიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. რეგისტრაციის გასაველად აუცილებელია შესაბამისი საბუთის წარდგენა (ბილეთები, ან ქვეყნიდან გასვლისა და შემოსვლის დამადასტურებელი ოფიციალური ჩანაწერი).

### გამოცდების მიმდინარეობა

გამოცდები ჩატარდება 2 ცვლად. პირველი ცვლისათვის რეგისტრაცია დაიწყება 8:00 საათზე. გამოცდა დაიწყება 9:00 საათზე;

მეორე ცვლისათვის რეგისტრაცია დაიწყება 14:00 საათზე. გამოცდა დაიწყება 15:00 საათზე.

გამოცდაზე მისვლისას რეგისტრაციის გასაველად აბიტურიენტმა საჭიროა იქონიოს:

- საგამოცდო ბარათი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (მათთვის, ვისაც გამოცდების დაწყებამდე არ შესრულებია 16 წელი, სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული ცნობა ფერადი ფოტოსურათით);

რეგისტრაციის შემდეგ აბიტურიენტს მიაცილებენ სამუშაო მაგიდასთან, სადაც იგი მიიღებს საგამოცდო ტესტს.

ტესტების დალუქული შეკერა გაიხსნება აბიტურიენტების თვალწინ.

მუშაობის დაწყებამდე აბიტურიენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება. ტესტებთან ერთად აბიტურიენტებს ურიგდებათ პასუხების ფურცელი (A3 ფორმატის - 29,7X42 სმ), რომელთა ანონიმურობის უზრუნველსაყოფად მათზე დაიკრება ინდივიდუალური შტრიხკოდი.

**განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მათი დაკეცვა ან დაჭიმუჭვნა, რაიმე ჩანაწერის (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს) გაკეთება. სახელის, გვარის, რაიმე სხვა წარწერის ან ნახატის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტის პასუხების ფურცელი არ გასწორდება!**

დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას აბიტურიენტები დაადასტურებენ სექტორის უწყისში ხელმოწერით.

გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, პასუხების ფურცლის შევსების წესებს, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი.

საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს თითოეული აბიტურიენტის ტესტის რეგულირებას და პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ კურატორს აბარებს ნამუშევარს.

საგამოცდო პროცესი ამით მთავრდება. პასუხების ფურცლები ბოლო აბიტურიენტის თანდასწრებით

ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც გასწორდება პასუხების ფურცლები.

**გასწორების პროცესის დასრულების შემდგომ გაიხსნება სარეგისტრაციო პუნქტები, სადაც აბიტურიენტები შეიტყობენ თითოეულ საგამოცდო საგანში მიღებულ ქულას და რეიტინგულ სიაში საკუთარ რიგით ნომერს. ეს ინფორმაცია განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე. რეიტინგული სია იქმნება მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგების საფუძველზე. იგი აბიტურიენტის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების მაჩვენებელია და არავითარ კავშირში არ არის კონკრეტულ ფაკულტეტებზე ჩარიცხვასთან!!!**

ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა მიიღოს პასუხების ფურცლების ასლები, რომლებიც განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აბიტურიენტი სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით, საკუთარი სახელის, გვარის, საიდენტიფიკაციო და პირადი ნომრის მითითებით შეძლებს იხილოს და ამობეჭდოს პასუხების ფურცლის ასლი სასურველ საგანში.

იმ რეგიონებში, სადაც ინტერნეტი ნაკლებად ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის, ასლები გაიცემა უშუალოდ საგამოცდო ცენტრებში.

### საკონკურსო ქულის გამოანბარიშვება და ჩარიცხვა

არჩეულ ფაკულტეტზე აბიტურიენტები ჩარიცხებიან მიღებული საკონკურსო ქულების საფუძველზე.

გამოცდა თითოეულ საგანში რამდენიმე სესიად მიმდინარეობს, რაც განაპირობებს საგამოცდო ტესტების სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების აუცილებლობას. შესაძლოა, კონკრეტული საგნის ტესტის სხვადასხვა ვარიანტი, სირთულის თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამიტომ აბიტურიენტებისათვის თანაბარი საკონკურსო პირობების შესაქმნელად გამოიყენება სკალირება.

სკალირება უნივერსალური მეცნიერული მეთოდია, რომელიც აბიტურიენტების მიერ მიღებული შედეგების საერთო სტანდარტულ სკალაზე განთავსების საშუალებას იძლევა.

სკალირება ტესტების სხვადასხვა ვარიანტში მიღებული ქულების ერთმანეთთან შედარების საშუალებას გვაძლევს და, ამდენად, მაქსიმალურად იცავს აბიტურიენტების ინტერესებს.

სკალირება ერთიან სისტემაში აქცევს აბიტურიენტების მიერ სხვადასხვა წელს მიღებულ შეფასებებს. სწორედ ამის შედეგადაა შესაძლებელი, წინა წელს მიღებული ქულა ძალაში დარჩეს მომდევნო წელსაც. თითოეული გამოცდის სკალირებული ქულა გამრავლდება ფაკულტეტის მიერ მინიჭებულ კოეფიციენტებზე და შედეგები შეჯამდება.

სწორედ ეს არის აბიტურიენტის მიერ მიღებული საკონკურსო ქულა, რომელიც შესაძლებელია განსხვავებული იყოს სხვადასხვა ფაკულტეტისათვის.

თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ მითითებული რეიტინგული ჩამონათვალის პირველ ფაკულტეტზე, მაშინ განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის საკითხი და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ჩარიცხა რეიტინგული ჩამონათვალის რომელიმე ფაკულტეტზე, მაშინ რეიტინგულ სიაში მითითებულ მომდევნო ფაკულტეტზე მისი ჩარიცხვის საკითხი აღარ განიხილება.

თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება მის მიერ მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვერც ერთ ფაკულტეტზე და თუ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ დარჩება თავისუფალი ადგილები, მას მიეცემა საშუალება, ამ ადგილებზე კიდევ ერთხელ გააკეთოს განაცხადი. ამ შემთხვევაში მისი ჩარიცხვის საკითხის განიხილვა მოხდება ზემოთ მოყვანილი წესის მიხედვით.

სახელგონებო და სპორტული უმაღლესი სასწავლებლები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ სპეციალურ შემოქმედებით/სპორტულ ტურებს და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. შემოქმედებითი ტურების დასახელებასა და ჩატარების ვადებს გამოაქვეყნებენ თავად ეს უმაღლესი სასწავლებლები.

აბიტურიენტის მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში მიღებული ქულა ძალაშია მომდევნო წელსაც.

### სახელმწიფო სასწავლო გრანტი

2005 წელს სახელმწიფომ დააფინანსა საუკეთესო შედეგის მქონე 4198 აბიტურიენტის განათლება. 2006 წელს საქართველოს ბიუჯეტი სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსებს გაცილებით მეტი აბიტურიენტის განათლებას.

გრანტის მიღების შემთხვევაში, სხვაობა დაფინანსების ოდენობასა და უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების მიერ დადგენილ სწავლების საფასურს შორის სტუდენტებმა უნდა დაფარონ.

მათ ვინც ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, თავად მოუწევთ საკუთარი განათლების დაფინანსება.

**სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგების საფუძველზე. ამ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მის მიერ მითითებულ ყველა გამოცდაში.**

აბიტურიენტს, რომელიც მიიღებს სახელმწიფო დაფინანსებას და ვერ ჩარიცხება მის მიერ მითითებულ ვერც ერთ ფაკულტეტზე, გრანტი შეენახება ერთი წლის განმავლობაში.

### აპელაცია

თუ აბიტურიენტი მიღებული ქულებით უკმაყოფილოა, მას შეუძლია გააპროტესტოს ცალკეულ საგამოცდო საგანში მიღებული შეფასება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მან უნდა შეავსოს განაცხადი, რომელსაც თან უნდა დაერთოს დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სააპელაციო განაცხადის საფასური განისაზღვრება 30 ლარის ოდენობით. აბიტურიენტმა განაცხადი სარეგისტრაციო პუნქტში უნდა შეიტანოს. განაცხადში მითითებულ უნდა იქნას იმ საგამოცდო დავალებების ნომრები, რომელთა შეფასებასაც აბიტურიენტი არ ეთანხმება. აპელაციისას განიხილება მხოლოდ განაცხადში მითითებული საგამოცდო დავალებები. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 18 დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ აპელაციის შედეგად შეიცვლება ნამუშევრის შეფასება, აბიტურიენტს უკან დაუბრუნდება გადახდილი თანხა.

სააპელაციო საბჭოს მიერ აბიტურიენტთა პრეტენზიების განხილვის დასრულების შემდეგ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოაქვეყნებს წინასწარ მონაცემებს ჩარიცხულთა შესახებ, რომლის გაცნობა შესაძლებელი იქნება სარეგისტრაციო პუნქტებში და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

სიებში მითითებული იქნება კონკრეტულ ფაკულტეტებზე ჩარიცხული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობასთან დაკავშირებული წინასწარი მონაცემები.

**ამის შემდგომ ცხადდება ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტზე დარჩენილი ვაკანტური ადგილების შესახებ. მეორად ჩარიცხვებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ ჩარიცხნენ მათ მიერ მითითებულ ვერც ერთ ფაკულტეტზე და გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იმ გამოცდებში, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ შერჩეულ ფაკულტეტებზე.**

**მეორადი ჩარიცხვების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, ამტკიცებს ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიას.**

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტი მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს, რომელშიც მითითებული იქნება: მისი ქულები, მოიპოვა თუ არა გრანტი და ჩარიცხა თუ არა კონკრეტულ ფაკულტეტზე.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატისა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის (ან მასთან გათანაბრებული საბუთის) საფუძველზე აბიტურიენტი აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის უმაღლეს სასწავლებელთან.

ხელშეკრულების გაფორმებით სრულდება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პროცესი.

ბანმარტეპა ცხრილისათვის

- ცხრილში მოცემულია 15 გრაფა.
- პირველ გრაფაში მითითებულია ფაკულტეტის ზუსტი დასახელება;
- მეორე გრაფაში მითითებულია სწავლების ენა ფაკულტეტების მიხედვით;
- მესამე გრაფაში მითითებულია ჩასარიცხი ადგილების რაოდენობა;
- მოეთხე გრაფაში მითითებულია სწავლების წლიური გადასახადი;
- მესუთედან მეთერთმეტე გრაფის ჩათვლით მითითებულია აბიტურიენტების მიერ ჩასაბარებელი გამოცდები, შემდეგი თანმიმდევრობით:
  - ქართული ენა და ლიტერატურა – 5;
  - ზოგადი უნარები – 6;
  - უცხოური ენა – 7;
  - ქართული ლიტერატურა – 8;
  - მათემატიკა – 9;
  - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – 10;
  - საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები – 11.
- ამ გრაფებში, ფაკულტეტების დასახელების გასწვრივ მითითებულია ფაკულტეტის მიერ შესაბამისი გამოცდისათვის

მინიჭებული კოეფიციენტები, რომელთა ჯამი შეადგენს 10-ს. თუ ფაკულტეტს მითითებული აქვს ორი არჩევითი გამოცდა, მაშინ თითოეული გამოცდის ქვეშ მითითებული იქნება შესაბამისი კვორტები.

უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა ზოგიერთ სპეციალობაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა წარმოებს შემოქმედებით ტურებში დაგროვებული ქულების მიხედვით, მე-12-13-14-ე გრაფებში უთითებენ შემოქმედებითი ტურების დასახელებებსა და მათთვის მინიჭებულ კოეფიციენტებს. შემოქმედებითი ტურების რაოდენობას განსაზღვრავს თავად უმაღლესი სასწავლებელი. ტურების რაოდენობის მიუხედავად კოეფიციენტების ჯამი ათს უნდა შეადგენდეს.

მეთხუთმეტე გრაფაში მოცემულია საგნების პრიორიტეტები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება, თუ კი აბიტურიენტები დააგროვებენ ერთნაირ საკონკურსო ქულებს. პირველ უჯრაში იწერება ყველაზე პრიორიტეტული საგნის ნომერი და ა.შ.

ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რეკვიზიტების ქვეშ მითითებული აქვს განსაკუთრებული მოთხოვნები, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აბიტურიენტმა.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ფაკულტეტი სპეციალიზაციის მითითებით	სწავლების ენა	კონტინგენტი	წლიური გადასახადი	ქართული ენა და ლიტერატურა	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	ლიტერატურა	მათემატიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საქართველოს ისტორია და სა.ზ. მეცნიერებები	შემოქმედებითი ტურის დასახელება კოეფიციენტის მითითებით	შემოქმედებითი ტურის დასახელება კოეფიციენტის მითითებით	შემოქმედებითი ტურის დასახელება კოეფიციენტის მითითებით	საგანთა პრიორიტეტები

**001 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თბილისი 0128, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1  
 ტელ. 225107, 253971  
 ელექტრონული ფოსტა  
 usc @ ictsu.tsu.edu.ge

001-01	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი <i>ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება</i>	ქართული	750	1500	2	3	2		3					9	6	5	7
001-02	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი <i>გეოგრაფია, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, ეკოლოგია, ფარმაკოლოგია, მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა, ინფორმატიკა.</i>	ქართული რუსული	500	1500	2	4	2		2		2			6	9/11	5	7
001-03	იურიდიული ფაკულტეტი <i>სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო სამართალი</i>	ქართული	410	1500	3	4	3							6	5	7	
001-04	მედიცინის ფაკულტეტი <i>სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია</i>	ქართული	100	1500	3	4	3							6	5	7	
001-05	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი <i>ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სოციალური მეშაქი, პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ჟურნალისტიკა</i>	ქართული რუსული	424	1500	3	4	3							6	7	5	
001-06	ჰუმანიტარული ფაკულტეტი <i>სახვითი ხელოვნება და დიზაინი, კინო-ტელე ხელოვნება, ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა; აღმოსავლეთმცოდნეობა: არაბისტიკა, თურქოლოგია, ირანისტიკა, არმენოლოგია, არამეისტიკა-ებრაისტიკა, ასირიოლოგია, იაპონისტიკა-სინოლოგია; ფილოლოგია: ქართული ენა და ლიტერატურა, კლასიკური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული და ხლავური, კავკასიური, ახალი ბერძნული.</i>	ქართული რუსული	778	1500	3	3	2				2			5	6	7	11

**002 თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია**

თბილისი 0108, ვრიბოედოვის №8  
 ტელ. 98-71-87, 99-91-44  
 ელექტრონული ფოსტა  
 tbil-conservatory@hotmail.com

**განსაკუთრებული მოთხოვნები:**  
 მუსიკისმცოდნეობაზე შემსვლელი აბიტური-  
 ენტი უნდა ფლობდეს საშუალო საშუალო  
 რგოლის სამუსიკათმცოდნეო პროგრამით  
 გათვალისწინებულ ცოდნას მუსიკის თეო-  
 რიაში, მუსიკის ლიტერატურაში და ფოლკ-  
 ლორში, აგრეთვე რომელიმე ინსტრუმენტს.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	
002-01	სამუსიკო შემსრულებლობა	ქართული	56	1500							7	3	12	13	
											სპეცია- ლობა	მუს. თეო- რია			
002-02	ჰუმანიტარული მეცნიერებანი - მუსიკათმცოდნეობა	ქართული	5	1500	4	3	3						5	6	7

**003 საპარტეზელის ტექნიკური უნივერსიტეტი**

თბილისი 0175, კოსტავას ქუჩა №77  
 ტელ. 33-07-62, ფაქსი 94-20-33  
 ელექტრონული ფოსტა gtechuni@gtu.edu.ge

003-01	<b>სამშენებლო ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №68)</b> <i>სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა (მშენებლობის მენეჯმენტი; მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სისტემები; საქალაქო მშენებლობა და მეურნეობა; სამშენებლო ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოება; შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკა, ექსპერტიზა და აღდგენა-რეკონსტრუქცია); პიდროტექნიკა (სამდინარო ნაგებობები და პიდროელექტროსადგურები; საზღვაო ნაგებობები და ნავსადგურები; პიდროენერგეტიკული მშენებლობის მენეჯმენტი; შენობათა მიკროკლიმატი და გაზომვარეგება; წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა; პიდროეკოლოგია).</i>	ქართული რუსული ფრანგ.	175	1000	2	2	1		5					9	6	5	7
003-02	<b>ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №77)</b> <i>ელექტროენერგეტიკა; თბოენერგეტიკა; ელექტრომექანიკა და ელექტროტექნოლოგიები; ელექტრონიკა (სათბობ-ენერგეტიკული დარგების მენეჯმენტი; საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი; ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურები; პიდროელექტროსადგურების პიდროენერგეტიკული მოწყობილობა); ტელეკომუნიკაცია.</i>	ქართული რუსული ინგლის	450	1500	2	2	1		5					9	6	5	7
003-03	<b>სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №77)</b> <i>გეოლოგია (გეოლოგიური აგეგმა, ძებნა-ძიება; კუთილ-შობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ექსპერტიზა; პიდროგეოლოგია; საინჟინრო გეოლოგია); სამთო და სამარკაშეიდერო საქმე (სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება; სამთო საწარმოთა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა; სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება; სამთო მანქანები და მოწყობილობები; სამთო ელექტრომექანიკა, კომპლექსური ავტომატიზაცია სამთო მრეწველობაში; სავანებო სიტუაციების მართვა და ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება; სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი; ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია (ნავთობისა და გაზის გეოლოგია; ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთობ-გაზსადენებისა და ნავთობ-გაზსაცავების ექსპლუატაცია; სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიებითი სამუშაოების ტექნიკა და ტექნოლოგია; ნავთობისა და გაზის ჭაბურღილის ბურღვა). გეოდეზია (საინჟინრო გეოდეზია; ქალაქის კადასტრი).</i>	ქართული	140	1000	2	2	1		5					9	6	5	7
003-04	<b>ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №68)</b> <i>ქიმიური ტექნოლოგია (ძირითადი ქიმიური პროდუქტების ტექნოლოგია; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზა; მეტალო-კერამიკული, მინა და პოლიმერული კომპოზიციური მასალების ტექნოლოგია, ექსპერტიზა; სამედიცინო და სპეციალური მასალების ქიმიური ტექნოლოგია; კერამიკული, სილიკატური და მრეწველობითი არალითონური მასალების ქიმიური ტექნოლოგია; ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია; ბიოსამედიცინო პოლიმერების და ორგანული ნაერთების ტექნოლოგია; ნავთობპროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია; ალტერნატიული ენერჯის წყაროები (წყალბადის ტექნოლოგიები, დენის ელექტროქიმიური წყაროები); მასალების ელექტროქიმიური ინჟინერინგი და კოროზიისგან დაცვა; გარემოსდაცვითი ელექტროქიმია).</i>	ქართული რუსული	250	1000	4	3	3							5	6	7	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15				
<p>ბიოლოგიური ტექნოლოგია (სამედიცინო ბიოტექნოლოგია; საკვები პროდუქტების ბიოტექნოლოგია; სამკურნალო საშუალებათა ქიმიური ტექნოლოგია; ფარმაცევტული პროდუქტების ქიმიური, ექსპერტიზა და მარკეტინგი); ეკოლოგია (საინჟინრო ეკოლოგია და ეკოლოგიური ექსპერტიზა; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; გარემოს დაცვის მართვა) - მეტალურგია (შავი ლითონების მეტალურგია, მეტალურგიული საწარმოების ბიზნესი და მენეჯმენტი; მალაქტოპერატურული პროცესებისა და მეტალურგიული საწარმოების ეკოლოგია; ოქროს და ძვირფასი ლითონების საიუველირო წარმოება და ბიზნესი; ოქროს და ძვირფასი ლითონების ტექნიკური ექსპერტიზა და სერტიფიკაცია; კუთილშობილი და ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა დიზაინი და ბიზნესი; ინფორმაცია კუთილშობილი და ძვირფასი ლითონების ბიზნესში; ფერადი ლითონებისა და მათი საწარმოო ნედლეულის საქონელმცოდნეობა და ბიზნესი); მასალათმცოდნეობა და ლითონების დამუშავება (ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების ტექნოლოგია და მოწყობილობა; ლითონების წვევით დამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი; მასალის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგია; სამხმელეთო წარმოება და მისი მენეჯმენტი; საშემდგომლო წარმოება და მისი მენეჯმენტი; კომპოზიციური და ფხვნილოვანი მასალები, დანაფარები, პრეციპიტული მეტალურგია; ლითონური პროდუქციის (ნაკეთობების) ექსპერტიზა და სერტიფიკაცია).</p>																		
<p>003-05</p> <p><b>სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №68)</b></p> <p>ტრანსპორტის მენეჯმენტი; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაცია; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია; ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების ექსპლუატაცია); გემების და მათი ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია; სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაცია (ვაგონები და საგაგონო მეურნეობა; ელექტრული ტრანსპორტი; ავტომატიკა, ტელემეჯანიკა და კავშირგაბმულობა სარკინიგზო ტრანსპორტზე); მანქანათმშენებლობა (ტექნოლოგიური მანქანები და კომპლექსები; კვების მრეწველობის მანქანები და აპარატები; სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია; საწარმოთა ავტომატიზაცია; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ამწე-სატრანსპორტო და საგზაო-სამშენებლო მანქანები; მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი); რკინიგზის მშენებლობა; გზების, ავტოდრომების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია; მერქნული მასალების დამუშავება; პოლიგრაფია.</p>	ქართული	300	1250	2	2	1		5					9	6	5	7		
	რუსული																	
<p>003-06</p> <p><b>არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №68)</b></p> <p>არქიტექტურა და ქალაქგეგმარება (არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი)</p>	ქართული	60	1250	1	1	1					4	3		12	13	6	5	7
											ხატვა	არქიტექტურული გრაფიკა						
<p>003-07</p> <p><b>ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №77)</b></p> <p>რეკონსტრუქცია (ტელევიზიული რეკონსტრუქცია); აუდიოვიზუალური და მედიატექნოლოგია (ტელევიზიული რეპორტიორი); ხელოვნებათმცოდნეობა (სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა); უცხოური ენები და ლიტერატურა (მთარგმნელობა; ქართულ-ინგლისური; ქართულ-გერმანული; ქართულ-ფრანგული; ქართულ-რუსული; რუსულ-ინგლისური); ეკონომიკა (საერთაშორისო ეკონომიკა); საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობები, კონფლიქტოლოგია); საზოგადოებრივი ურთიერთობები; ჟურნალისტიკა; საბანკო საქმე; აუდიტი; მენეჯმენტი და ადმინისტრირება (სახელმწიფო მართვა; ქალაქის მენეჯერი; სახელმწიფო პოლიტიკა და მართვა); ტურიზმი; სამართალი (სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი).</p>	ქართული	1000	1500	2	4	2		2		2			6	5	7	9/11		
	რუსული გერმან.							(180)		(820)								
<p>003-08</p> <p><b>ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (კოსტავას ქუჩა №77)</b></p> <p>გამოყენებითი მათემატიკა; კომპიუტერული სისტემები და ქსელები; მონაცემთა დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები; ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინფორმატიკა; ეკონომიკური ინფორმატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები მენეჯმენტსა და იურისპრუდენციის მიმართ; ვებდისაინი და ინტერნეტტექნოლოგიები; ხელოვნური ინტელექტი); ხარისხის მართვა და საზომი ტექნიკა (პროდუქციის ხარისხის აუდიტი; ექსპერტიზა, სერტიფიკაცია და ხარისხის მართვა; ეკონომეტრიკა და კომპიუტერული ინფორმატიკა); ბიოსამედიცინო ინჟინერია; ავტომატიკა და მართვა; საინჟინრო ფიზიკა.</p>	ქართული	800	1500	2	2	1		5					9	6	5	7		
	რუსული ინგლის. ფრანგ.																	
<p>003-09</p> <p><b>ბათუმის ფაკულტეტი (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12)</b></p> <p>სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა (სამოქალაქო და საკურორტო მშენებლობა; კონსტრუქციული შედგენის ნაგებობებისა და ნავსადგურების პილარტექნიკური მშენებლობა; მაგისტრალური ნავთობ-გაზსადენებისა და გაზსადენების დაპროექტება და მშენებლობა; ტელეკომუნიკაცია (ტელეკომუნიკაციის ქსელები და კომუნიკაციის სისტემები; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (ტვირთვების ექსპლუატაცია და ლოგისტიკა); ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ქიმიური ტექნოლოგია); ინფორმაციული ტექნოლოგიები (ბიზნესის ინფორმატიკა; ეკონომიკა (მაკროეკონომიკა); ტურიზმი (ტურიზმის მენეჯმენტი); ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა (გენერალური მენეჯმენტი).</p>	ქართული	130	1250	2	2	2		4					9	6	5	7		

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		
003-10	საერთაშორისო ნავთობგაზსადენების ექსპლუატაციის ფაკულტეტი (ქ. მარნეულის რუსთაველის ქუჩა №94) ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია (ნავთობ-გაზსადენების და ნავთობ-გაზსადენების მშენებლობა და ექსპლუატაცია); უცხოური ენები და ლიტერატურა (ინგლისური); სამართალმცოდნეობა (საერთაშორისო საბაჟო სამართალი); საბუღალტრო და საგადასახადო საქმე (საბუღალტრო აღრიცხვა და საფინანსო ანალიზი).	ქართული	80	1250	3	4	3								6	5	7

**004 საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. №19  
ტელ. 99-94-11, 98-30-79  
განსაკუთრებული მოთხოვნები: პრაქტიკულ ტურში იგულისხმება: ტელერეჟისორი, ტელე-რადიო გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი, მხატვრული კინოს რეჟისორი – სპეციალობებზე წერა; რეჟისორ-ანიმატორის სპეციალობაზე – ხატვა; ხმის რეჟისორის სპეციალობაზე – სმენის შემოწმება;

004-01	სამსახიობო ფაკულტეტი დრამისა და კინოს მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი	ქართული	42	1500	-	-	-					10			12			
004-02	დრამის სარეჟისორო ფაკულტეტი დრამის რეჟისორი	ქართული	11	1500	3	3	3					1			5	6	7	12
004-03	კინო-ტელე ფაკულტეტი ტელერეჟისორი, ტელე-რადიო გადაცემის წამყვანი ჟურნალისტი, მხატვრული კინოს რეჟისორი, რეჟისორ-ანიმატორი, ხმის რეჟისორი	ქართული	45	1500	3	3	3					1			5	6	7	12
004-04	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნე-პედაგოგი, თეატრმცოდნე, კინომცოდნე, კულტუროლოგი, ტურიზმის მენეჯერი, კულტურის მენეჯერი.	ქართული	94	1250	4	2	4								5	7	6	

**005 საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი**

თბილისი 0131, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.  
ტელ. 59-52-53  
ელექტრონული ფოსტა office@gsau.edu.ge

005-01	აგრონომიული ფაკულტეტი აგროტექნოლოგია (სამკურნალო მცენარეები; საკვებწარმოების ტექნოლოგია; მცენარეთა სელექცია და გენეტიკა; ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია; მებაღე მუშაობა); აგროეკოლოგია (აგროქიმიკა-ნივთების მცოდნეობა; მცენარეთა დაცვა, ეკოლოგიური მიწათმოქმედება).	ქართული	131	1000	3	6	1								6	5	7
005-02	აგროსაინჟინრო ფაკულტეტი სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; პიდრომელიორაცია.	ქართული	120	1000	3	5	2								6	5	7
005-03	ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი ბიზნესი და მართვა (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; აუდიტი; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; მიწის რესურსების მართვა); სამართალმცოდნეობა, ჟურნალისტიკა;	ქართული	120	1500	3	5	2								6	5	7
005-04	ზოოტექნიკური ფაკულტეტი ზოოსაინჟინრო; რძის წარმოების ტექნოლოგია; ხორცის წარმოების ტექნოლოგია; თევზის წარმოების ტექნოლოგია; კინოლოგია; კომპინირებული საკვების დამზადება და შენახვა.	ქართული რუსული	100	1000	3	5	2								6	5	7
005-05	კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი კვების პროდუქტების ტექნოლოგია (მედიცინის ტექნოლოგია; ღუდისა და უაღკოპლო სასმელების ტექნოლოგია; კვების პროდუქტების დაცვის ტექნოლოგია; პურის, საკონდიტრო და მაკარონის წარმოების ტექნოლოგია).	ქართული	80	1250	3	5	2								6	5	7
005-06	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი ვეტერინარია (ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი; სავეტერინარო სანიტარია და ექსპერტიზა; სავეტერინარო ფარმაცია).	ქართული რუსული	100	1000	3	5	2								6	5	7
005-07	სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი სატყეო მეურნეობა	ქართული	60	1000	3	5	2								6	5	7

**006 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას 33  
ტელ. 39-67-51, (995-32)94-25-13  
ელექტრონული ფოსტა iad@tsmu.edu

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15			
006-01	<b>ჯანდაცვის ფაკულტეტი</b> სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ფარმაცია; სახოვადობრივი ჯანდაცვა.	ქართული	569	1500	2	3	2		3	3					9/10	6	5	7
		რუსული ინგლის.	(227) (342)															

**008 ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქალაქ ბორჯომი**

ქ. ვორი, ბესიკის ქუჩა №2  
ტელ. 7-19-35, 7-74-94  
ელექტრონული ფოსტა tssu@posta.ge

008-01	<b>პედაგოგიის ფაკულტეტი</b> დაწვებითი განათლება; სკოლამდელი აღზრდა.	ქართული	30	1000	4	5	1								6	5	7	
008-02	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> ისტორია; ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა.	ქართული	74	1000	4	3	3								5	6	7	
008-03	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> სამართალმცოდნეობა	ქართული	30	1000	4	4	2								5	6	7	
008-04	<b>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> ჟურნალისტიკა	ქართული	15	1000	4	4	2								5	6	7	
008-05	<b>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია);	ქართული	10	1000	2	5	3								6	7	5	
008-06	<b>მათემატიკის ფაკულტეტი</b> გამოყენებითი მათემატიკა	ქართული	10	1000	2	5	3								6	7	5	
008-07	<b>კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტი</b> კომპიუტერული ტექნოლოგიები (ინფორმაციული ტექნოლოგიები);	ქართული	25	1000	2	5	3								6	7	5	

**009 აკაკი შირაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქუთაისი, თამარ მეფის 59  
ტელ. 8(231) 4-21-73, 4-38-33  
ელექტრონული ფოსტა ksu@ksu.ge

009-01	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და პედაგოგიის ფაკულტეტი</b> ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა, კლასიკური ფილოლოგია - ბერძნული ენა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა); აღმოსავლეთმცოდნეობა (ირანისტიკა, არაბისტიკა, თურქოლოგია); ისტორია; ფილოსოფია; ხელოვნებათმცოდნეობა; დაწვებითი განათლება; სკოლამდელი აღზრდა; ფიზიკური აღზრდა.	ქართული	200	1250	4	3	3								5	7	6	
009-02	<b>ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> მათემატიკა; ინფორმატიკა; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ეკოლოგია; გეოგრაფია.	ქართული	83	1000	1	4	1		4						6	9	5	7
009-03	<b>მედიცინის ფაკულტეტი</b> სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ფარმაცია;	ქართული	56	1250	3	6	1								6	5	7	
009-04	<b>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუნებრივ და საგანდასახადო საქმე; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები; ტურიზმი; ჟურნალისტიკა	ქართული	195	1250	2	3	1		4		4				9/11	6	5	7
			(102) (93)															

**010 თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თბილისი 0162, ი.ჭავჭავაძის 45  
ტელ. 22-17-03  
ელექტრონული ფოსტა uni@lingua.edu.ge  
განსაკუთრებული მოთხოვნები: უცხო ენების ცოდნა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)

010-01	<b>უცხო ენათა პედაგოგიური ფაკულტეტი</b> დაწვებითი განათლების პედაგოგია (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) ფილოლოგია (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, იტალიური ენა, რუსული ენა)	ქართული	151	1500	2	3	5								7	6	5	
010-02	<b>ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> საერთაშორისო ურთიერთობები; ეკონომიკა; სოციოლოგია; პოლიტოლოგია; ჟურნალისტიკა; ფილოსოფია.	ქართული	110	1500	2	5	3								6	7	5	

**011 ქუთაისის 6. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი**

ქუთაისი 384014, კოლუმბია-მისურის  
(ახალგაზრდობის) №98  
ტელ. (+995 231)2-25-61 , (+995 231) 2-06-90  
ელექტრონული ფოსტა kutstu@rotmail.com

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15			
011-01	<b>გამოყენებით მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> <i>მათემატიკა და სტატისტიკა (მათემატიკა; გამოყენებითი მათემატიკა)</i>	ქართული	40	1000	2	2	2		4						9	6	5	7
011-02	<b>კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტი</b> <i>კომპიუტერული სისტემები და ქსელები; მონაცემთა დამუშავებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემები; ინფორმაციული ტექნოლოგიები.</i>	ქართული	100	1000	2	6	2								6	7	5	
011-03	<b>ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი</b> <i>ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; მარკეტინგი; მენეჯმენტი და ადმინისტრირება</i>	ქართული	150	1250	2	6	2								6	5	7	
011-04	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> <i>სამართალმცოდნეობა</i>	ქართული	50	1500	3	4	3								6	5	7	
011-05	<b>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> <i>ჟურნალისტიკა</i>	ქართული	25	1250	4	3	3								5	6	7	
011-06	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> <i>უცხოური ენა და ლიტერატურა: ინგლისური, გერმანული.</i>	ქართული	45	1250	2	3	5								7	6	5	
011-07	<b>საინჟინრო საქმის ფაკულტეტი</b> <i>ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ძრავების ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაცია; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; ტრანსპორტის მენეჯმენტი; ელექტროენერგეტიკა; მანქანათმშენებლობა; კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები; საგზაო-სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება; ბიოსამედიცინო ინჟინერია; ტელეკომუნიკაცია; ხარისხის მართვა და საზომი ტექნიკა; კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა და ლითონების დამუშავება.</i>	ქართული	170	1000	2	6	2								6	5	7	
011-08	<b>არქიტექტურისა და მშენებლობის ფაკულტეტი</b> <i>სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; გზების მშენებლობა; ნავთობგაზსადენებისა და ტერმინალების მშენებლობა.</i>	ქართული	30	1000	2	6	2								6	5	7	
011-09	<b>საწარმოო და გადამამუშავებელი დარგების ფაკულტეტი</b> <i>ქიმიური ტექნოლოგია: ქიმიურ-ფარმაცევტული და კოსმეტიკური პრეპარატების ტექნოლოგია; ტყავის, ბეწვის, ქსოვილების რესტავრაციის ქიმიური ტექნოლოგია; სასურსათო ტექნოლოგია; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია; მერქნული მასალების დამუშავება.</i>	ქართული	127	1000	2	6	2								6	5	7	
011-10	<b>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> <i>ეკოლოგია; გარემოსმცოდნეობა.</i>	ქართული	30	1000	2	6	2								6	5	7	
011-11	<b>ხელოვნების ფაკულტეტი</b> <i>აუდიოვიზუალური და მედიახელოვნება; დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება, სურსათის დიზაინი; ინტერიერისა და კოსტუმის ქსოვილების დიზაინი; ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დიზაინი;</i>	ქართული	85	1000	3	5	2								6	5	7	

**012 იმ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი**

თბილისი 0186, ჯიქიას ქ.№9  
ტელ. 21-14-06, 21-14-10

012-01	<b>ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> <i>მათემატიკა, სტატისტიკა, ეკონომიკის მათემატიკური თეორია, გამოყენებითი მათემატიკა; ინფორმატიკა; მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები; ფიზიკა; ფიზიკური ინფორმატიკა; სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა; ქიმია; ქიმიური ექსპერტიზა; ნავთობის ქიმია; ფიზიკური გეოგრაფია; ბიოლოგია; ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა.</i>	ქართული რუსული	210	1000	2	4	2		2						6	9	5	7
012-02	<b>ჰუმანიტარული ფაკულტეტი</b> <i>ქართული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ქართული ენა და ლიტერატურა-ინგლისური ენა და ლიტერატურა; ქართული ენა და ლიტერატურა-ფრანგული ენა და ლიტერატურა; ქართული ენა და ლიტერატურა- თურქული ენა და ლიტერატურა; ქართული ენა და ლიტერატურა-რუსული ენა და ლიტერატურა; ისტორია; არქეოლოგია; აღმოსავლეთმცოდნეობა.</i>	ქართული რუსული	215	1250	4	3	3								6	5	7	

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15				
012-03	<b>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი</b> მაკროეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკა; ფირმის ეკონომიკა; საფინანსო საქმე; საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო საქმე; აუდიტი; ბიზნესის ადმინისტრირება; ტურიზმის ბიზნესი; მენეჯმენტი; ბიზნესის ინფორმატიკა.	ქართული რუსული	200	1250	2	4	2		2							6	9	5	7
012-04	<b>სოციალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> სოციოლოგია; პოლიტიკური მეცნიერებები; სახელმწიფო მართვა და პოლიტიკა; სოციალური სამსახურის ორგანიზაცია და პერსონალის მართვა; სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია; ჟურნალისტიკა; ბიზნესის ფსიქოლოგია; სამართალმცოდნეობა.	ქართული რუსული	135	1500	4	3	3									5	6	7	
012-05	<b>პედაგოგიური ფაკულტეტი</b> სკოლაშდელი აღზრდა; დაწვებითი განათლება; კორექციული პედაგოგია; ფიზიკური აღზრდა	ქართული	41	1000	4	4	2									6	5	7	

**013 თბილისის ბიზნესისა და სამართლის სამართავროსო უნივერსიტეტი**

თბილისი 0162, ი.ჭავჭავაძის 49ა  
ტელ. 25-01-45  
ელექტრონული ფოსტა iunona@yahoo.com

013-01	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> სამართალმცოდნეობა	ქართული	13	750	2	3	3				2					7	6	5	11
--------	---	---------	----	-----	---	---	---	--	--	--	---	--	--	--	--	---	---	---	----

**014 იმ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მისხეითის ფილიალი**

ქ.ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №91  
ტელ. 8(93)90-79-19, 8(99) 21-70-48

014-01	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> ისტორია; ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა); უცხოური ენები (ინგლისური ენა და ლიტ. გერმანული ენა და ლიტ. ფრანგული ენა და ლიტ. რუსული ენა და ლიტ. ბერძნული ენა და ლიტ. სომხური ენა და ლიტ. თურქული ენა და ლიტ.)	ქართული	95	1000	3	4	3									6	5	7	
014-02	<b>საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> ასტრონომია; ეკოლოგია	ქართული	16	1000	1	4	1		4							9	6	5	7
014-03	<b>ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი</b> ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა (საერთაშორისო ბიზნესი; ოფისის მენეჯმენტი). მენეჯმენტი და ადმინისტრირება (მიწის რესურსებისა და უძრავი ქონების მართვა, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა); საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; ტურიზმი (ტურიზმის ბიზნესი).	ქართული	85	1250	2	4	2		2							6	9	5	7
014-04	<b>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი</b> ჟურნალისტიკა	ქართული	15	1000	4	3	3									5	7	6	
014-05	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> სამართალმცოდნეობა	ქართული	30	1250	4	3	3									5	6	7	
014-06	<b>ხელოვნების ფაკულტეტი</b> დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება (მოდელირება, ხის, ქვისა და ლითონის დამუშავება); რესტავრაცია.	ქართული	10	1000	1	1	1					4	3			12	13	6	7
014-07	<b>პედაგოგიის ფაკულტეტი</b> დაწვებითი განათლება	ქართული	15	1000	4	4	2									6	5	7	
014-08	<b>მათემატიკისა და სტატისტიკის ფაკულტეტი</b> მათემატიკა; გამოყენებითი მათემატიკა (მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები)	ქართული	30	1000	1	4	1		4							9	6	5	7

**015 თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი**

თბილისი 0135, მარშალ გელოვანის გამზ.№4  
ტელ. 37-39-90  
ელექტრონული ფოსტა technology@wanex.ge

015-01	<b>საწარმო და გადაამამუშავებელი დარგების ფაკულტეტი</b> ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ტექნოლოგია; ფარმაცევტ-ტექნოლოგია; მადღუარ პროდუქტთა ტექნოლოგია; მეღვინეობა, კონიაკის, ღვინისა და უაღკაპოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგია; სასურსათო ტექნოლოგია; ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია.	ქართული	21	700	4	4	2									6	5	7	
--------	---	---------	----	-----	---	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	---	---	---	--

**016 შპს. ბრიტოლ შერაპის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი**

თბილისი, ვ. ჯიქიას ქუჩა №8ა  
ტელ. 95-67-24, 899-51-92-72, 899-18-02-01

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15			
016-01	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჟურნალისტიკა	ქართული	5	1000	3	2	2	3							5	8	7	6
016-02	ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი საფინანსო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე.	ქართული	10	1000	3	2	2		3						5	9	6	7
016-03	სამართლის ფაკულტეტი სამართალმცოდნეობა	ქართული	10	1000	3	2	2	3							5	8	6	7
016-04	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ფილოლოგია: ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული ინგლის.	5	1000	3	2	3	2							7	5	6	8
016-05	პედაგოგიის ფაკულტეტი დაწვებითი განათლება	ქართული	4	1000	3	2	2	3							5	8	6	7

**017 თბილისის სამუსიკო ხელოვნების ორსაფეხურიანი კელაბოვიძის ინსტიტუტი**

თბილისი 0186, ნუცუბიძის ქუჩა №181  
ტელ. 32-20-55  
ელექტრონული ფოსტა muscart@rambler.ru  
განსაკუთრებული მოთხოვნები: შესაბამისი მუსიკალური განათლება

017-01	საშემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტი საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, ესტრადის მუსიკალური ხელოვნება (სიმღერა, საკრავები, ჯაზური მუსიკის თეორია); ქართული ხალხური მუსიკა და საკრავები; კლასიკური ორკესტრის საკრავები; ვოკალი.	ქართული	19	800								6	4		12	13		
												სპეციალობა	სოფფეჯიო					

**018 თბილისის იურიდიული ინსტიტუტი**

თბილისი 0108, რ. ლავიძის ქუჩა №7  
ტელ. 92-32-43  
განსაკუთრებული მოთხოვნები: უცხო ენის ცოდნა: რუსული, ფრანგული

018-01	სამართლის ფაკულტეტი სამართალმცოდნეობა	ქართული	11	1200	4	3	3								5	6	7	
--------	--	---------	----	------	---	---	---	--	--	--	--	--	--	--	---	---	---	--

**019 ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი**

ქუთაისი 4600, წერეთლის ქუჩა №13  
ტელ. (8231) 4-23-73, 4-52-97, 4-57-72;  
ფაქსი (8231) 4-57-72  
ელექტრონული ფოსტა qseu@geomail.ge

019-01	ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა.	ქართული	74	850	2	3	2		3						6	9	5	7
--------	---	---------	----	-----	---	---	---	--	---	--	--	--	--	--	---	---	---	---

**020 საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. №25  
ტელ. 25-36-77 ; ფაქსი 25-27-88  
ელექტრონული ფოსტა info@sdasu.ge  
web: www.sdasu.edu.ge ; www.sdasu.ge

020-01	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უცხოური ენები და ლიტერატურა: ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	15	1700	3	3	4								7	5	6	
020-02	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჟურნალისტიკა; ტელე-რადიო ჟურნალისტიკა.	ქართული	15	1700	4	3	3								5	6	7	
020-03	ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი საფინანსო-საბანკო საქმიანობა; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.	ქართული	30	1700	2	3	2		3						9	6	5	7
020-04	სამართლის ფაკულტეტი სამართალმცოდნეობა	ქართული	30	1800	3	4	3								6	5	7	
020-05	ჯანდაცვის ფაკულტეტი სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია	ქართული	44	1900	3	4	3								6	5	7	

**021 თბილისის საფინანსო-იურიდიული აკადემია**

თბილისი, თეძია, მე-11-ე მ /რ , 1-ლი კვარტ.  
ტელ. 60-23-94, 60-00-13

1		2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		
021-01	<b>ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი</b> საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;	ქართული	10	800	3	5	2								6	5	7
021-02	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> საფინანსო და სამეწარმეო სამართალმცოდნეობა	ქართული	10	1000	4	4	2								5	6	7

**022 ქუთაისის ხელოვნებისა და კულტურის ინსტიტუტი "კოლხა"**

ქუთაისი, ვრ. ხანძთელის ქ. №21  
ტელ. (8231) 4-09-48, 5-14-20

022-01	<b>ხელოვნების ფაკულტეტი</b> დიზაინი და გამოყენებითი ხელოვნება (ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ქსოვილების დიზაინი) საშემსრულებლო ხელოვნება (სამხატვრო, ქორეოგრაფიული)	ქართული	20	800								5	3	2	12	13	14
												კომპოზიცია, მხატვრობის ოსტატობა	ფერწერა ქორეოგრაფია	ხატვა, ხელოვნების ისტორია			
022-02	<b>პედაგოგიის ფაკულტეტი</b> დაწესებითი განათლება	ქართული	12	800	3	5	2								6	5	7

**023 ზუბდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი**

ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ქუჩა №1  
ტელ. 5-20-11, 5-20-12  
ელექტრონული ფოსტა absava@gol.ge

023-01	<b>ჯანდაცვის ფაკულტეტი</b> ფარმაცია; სტომატოლოგია	ქართული	22	1000	2	5	3								6	7	5
023-02	<b>ჰუმანიტარული ფაკულტეტი</b> ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	10	1000	5	2	3								5	7	6
023-03	<b>ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი</b> ფინანსები და კრედიტები	ქართული	15	1000	3	5	2								6	5	7
023-04	<b>სამართლის ფაკულტეტი</b> სამართალმცოდნეობა	ქართული	15	1000	3	5	2								6	5	7

**024 თბილისის საერთო უნივერსიტეტი "გაენათი"**

თბილისი 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №16  
